<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 6306
NAPR

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ. ბესიკ მენაბდე

მცხ. თბილისი, მუხიანი

ტელ. 595909020

პ/ნ: 01003006128

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში გვესაჭიროება ქუჩის სახელის მინიჭება, მდებარეობა არსებული ქუჩის არის გობრონიძის 58 გაგრძელება, რომელსაც გვინდა მიენიჭოს სხვა სახელწოდება მაცხოვრებლებთან შეთანხმებით, საკადასტრო კოდი ერთ ერთი ნაკვეთის არის 01.11.17.006.180. გთხოვთ, განიხილოთ დაჩქარებული წესით გამომდინარე იქიდან რომ სასწრაფო დახმარების, სხვადასხვა კომუნიკაციების სამსახურებთან ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები გვექმნება.

იხილეთ თანდართული ფაილები, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საბუთები შეგვიძლია წარმოგიდგინოთ.

მადლობა წინასწარ,

ბესიკ მენაბდე,

საკ: 595909020; 595070312

besikmenabde@yahoo.com

03/11/2022

ბ. მ

https://maps.gov.ge/map/portal#search/result/lr/bo/mg/getinfo.alpha?lbl=lr_parcels:A
01.11.17.006.180
NAPR
NAPR
NAPR
NAPR
44.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაექვს სექტემბერს მე, ლელა ხუნაშვილს, ნოტარიუს თამარ აბულაშვილის შემცვლელი პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა მუხიანის დასახლება მ/რ II, (ნონეშვილის გამზირი) კორპუსი 11, სართული 1, ბინა N62ა, მომმართა **გიორგი მენაბდემ** (დაბადებული 04.05.2001 წელს, მისი განცხადებით მცხოვრები მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 13, ბინა 192, პირადი N 01001084411) და განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე სანოტარო აქტის შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას. მან წაიკითხა იგი, მოიწონა და მკაფიოდ განაცხადა რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **გიორგი მენაბდე**, შემდგომში „მიმნდობი" უფლებამოსილებას ვანიჭებ **ბესიკ მენაბდეს** (დაბადებული 19.04.1980 წელს, პირადი N 01003006128), შემდგომში „მინდობილს" რათა მან ჩემი სახელით მართოს ჩემს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (**საკადასტრო კოდი N 01.11.17.006.180**) მოახდინოს განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება/დამტკიცება შესაბამის სამსახურებში, ასევე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აწარმოოს ნებისმიერი სახის მშენებლობა, მოახდინოს მშენებლობის პროექტის დამტკიცება/ცვლილებების შეტანა/კორექტირება, ნუმერაციის მინიჭება, ნერგების დარგვა, მშენებლობასთან დაკავშირებით მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა, ასევე მოახდინოს მშენებლობის ჩაბარების გადავადება, დაიწყოს/მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს განცხადებებს, ცნობებს და ყველა საჭირო დოკუმენტაციას, მათ შორის ატვირთოს დოკუმენტაცია ელექტრონულად, ასევე მოახდინოს ზემოაღნიშნულ ფართში კომუნიკაციების: წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის შეყვანასთან დაკავშირებული საქმიანობა, მოახდინოს ჩემი აბონენტად რეგისტრაცია, დაამონტაჟოს მრიცხველები, გადაიხადოს ყველა სახის საფასური, წარმოადგინოს ჩემი ინტერესები მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, ელ. ენეგრიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგებისა და ნებისმიერი კომუნალური მომსახურების სამსახურებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სამსახურებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 18.00 (თვრამეტი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი) 31-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 5.00 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი) 39-ე მუხლისა.

მიმნდობი ბესიკი მენაბდე

ნოტარიუსის შემცვლელი პირი

თბილისში, დიღომის (ყოფილი გარდაბნის) რაიონის სოფ. წავკისში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის "წავკისის ველი" განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმა











ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0323074101**
თარიღი: **15/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი იოსებ გრიგალაშვილის 2023 წლის 12 იანვრის საქმე #19/032301215-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს წავკისის ველის ტერიტორიაზე არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ორი ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 9 (ცხრა) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123075924**
თარიღი: **16/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 15.03.2023 წლის #03-0323074101 (15.03.2023წ. #14-01230743610-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბარბარე ბაირამაშვილი

(1888-1979)

პირველი ინჟინერი ქალი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი(1963), დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს (1961) და სხვ. დიპლომებით დამსახურებისათვის.

ბარბარე აბელის ასული ბაირამაშვილი დაიბადა 1888 წელს საინგილოში, კახში, სოფელ კაკში ცნობილი ინგილო საზოგადო მოღვაწის აბელ ბაირამაშვილის ოჯახში. აბელი იყო ლიტერატურის მასწავლებელი და კორესპონდენტი „ობზორისა“, რომელიც თავის წერილებს აქვეყნებდა "აზიელის" ფსევდონიმით. ის იყო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

ბარბარე ბაირამაშვილი 1908 წელს შევიდა ლენინგრადის ქალთა პოლიტექნიკურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1915 წელს მუშაობა დაიწყო ხარკოვში, შემდეგ კი დონბასის ელექტროფიკაციის სამმართველოში.

1921 წლიდან ბარბარე ბრუნდება საქართველოში მეუღლესთან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ ალექსანდრე ვასილევთან ერთად და მონაწილეობას იღებს ზაჰესის და რიონჰესის მშენებლობებში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს რიგი ქალაქების ელექტროქსელის დაპროექტების საქმეში.

1945 წელს ბარბარე ბაირამაშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა ლატვიის ელექტრომეურნეობის აღდგენის პროექტის შედგენაში. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, მთავრობის მედლებით.

ბარბარე ბაირამაშვილი იყო საქართველოს სამეცნიერო - ტექნიკური საზოგადოების წევრი. იგი დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა ენერგეტიკოსებს და უზიარებდა მათ თავის თეორიულ ცოდნას და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას.

გარდაიცვალა 1979 წელს, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.